N 291 16/07/2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, მიმდინარე წლის 12 ივლისს მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს.

დანართი: შეხვედრის ოქმი №12- 2(ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

მარიამ კუპრაძე

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი N12

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: მამათის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 12.07.2018 წელი 15:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მამათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ოთარ პატიეშვილი, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში გელა პატეიშვილი, აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ციცინო ჩხაიძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ირმა ხურციძე, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე ეკა გუჯაბიძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო მშვიდობაძე და ადგილობრივი მოსახლეობა.

მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** მიესალმა მოწვეულ სტუმრებს, მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მათთან შესახვედრად და მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ადგილობრივი მოსახლეობის საერთო პრობლემას შიდა გზების მოწესრიგების და აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი წარმოადგენს.

მოქალაქემ, **ვასილ მკრტიჩიანმა** აღნიშნა, რომ შეწამვლითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მავნებლების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, ამიტომ სასურველი შედეგის მისაღებად აუცილებელია ჩატარდეს შეწამვლითი სამუშაოების ყველა ეტაპი.

მოქალაქემ, **მანანა თევზაძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მას გადაეცა სახლის გადასახურად საჭირო მასალა, მაგრამ საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს სახლის სახურავის შეცვლას და ითხოვა დახმარება.

მოქალაქემ, **მანანა ფრანგულაშვილმა** გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ ფრანგულაშვილების უბანში ყოველი გაწვიმების შედეგად გზის საფარი ისე ზიანდება, რომ ავტომობილით გადაადგილება შეუძლებელია.

ქვემო მამათში მცხოვრებმა **ივტიხ ლიპარტელიანმა** ითხოვა დახმარება ღლონტების უბანში გზის საფარის მოსაწესრიგებლად. მისი თქმით, ამ უბანში გზის ორი მონაკვეთი სასწრაფოდ საჭიროებს შეკეთებას და პრობლემა გადაიჭრება თუ გაკეთდება სანიაღვრე არხი და დაიგება ბეტონის საფარი.

ქვემო მამათში მცხოვრებმა **ნათელა ღლონტმა,** რომელსაც ორი ვაჟიშვილი აფხაზეთის ომში დაეღუპა, ითხოვა დახმარება. მისი სახლის სახურავი ძალიან დაზიანებულია და საჭიროებს გამოცვლას.

მერის წარმომადგენელმა მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში **გელა პატეიშვილმა** აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით კონჭკათში გაკეთდა 200 მეტრი სიგრძის ბეტონის გზის საფარი, რომელიც მამათის ადმინისტრაციულ ერთეულს აკავშირებს ოზურგეთთან და საყანე ფართობებთან. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ საყანე ფართობთან დამაკავშირებელი ხიდი ადიდებულმა მდინარე სუფსამ დააზიანა, რომელიც უმოკლეს დროში საჭიროებს აღდგენას, რათა მოსახლეობამ შეძლოს მოსავლის გამოტანა ფართობებიდან.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ ნანაძე,** მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** მამათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **ოთარ პატიეშვილი** და მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე** მოსახლეობას დაპირდნენ დახმარებას და არსებული პრობლემების შეძლებისდაგვარად მოგვარებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე: **ვლადიმერ ნანძე**